18/09/2023

ქკსკ-ის ეგიდით ჩებოქსარში II ქრისტიანული ახალგაზრდული ფორუმი გაიმართება

2023 წლის 18–21 სექტემბერს, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით, ჩებოქსარში გაიმართება II ქრისტიანული ახალგაზრდული ფორუმი. ღონისძიების თემა, რომელიც ტარდება ქრისტიანული კონფესიათაშორისო საკონსულტაციო კომიტეტის ეგიდით, არის „ქრისტიანი ახალგაზრდობა სოციალურ სამსახურში“.

ფორუმში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდები, სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლები რუსეთის რეგიონებიდან, რომლებიც აქტიურ სოციალურ პოზიციას იკავებენ, – იუწყება ქკსკ-ის (ХМКК) ვებგვერდი.

ღონისძიების გაცხადებული მიზნებია ქრისტიანი ახალგაზრდების კონფესიათაშორისო თანამეგობრობის განმტკიცება საერთო რელიგიური ფასეულობების, მშვიდობისა და ხალხთა შორის თანხმობის საფუძველზე, ასევე სოციალური მსახურების გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

II ქრისტიანული ახალგაზრდული ფორუმის გახსნის ცერემონიაში მონაწილეობას მიიღებენ ქრისტიანული კონფესიების მეთაურები და წარმომადგენლები, რეგიონების ოფიციალური პირები, მედიის წარმომადგენლები.

ფორუმის მუშაობის ოთხი დღის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის სოციალურად მნიშვნელოვანი ახალგაზრდული პროექტები. ღონისძიების მონაწილენი მოინახულებენ რამდენიმე სოციალურ ობიექტს ქალაქ ჩებოქსარში და მონაწილეობას მიიღებენ მათ მუშაობაში. ფორუმის მონაწილეებს საკუთარ გამოცდილებას სოციალური მსახურების სფეროში გაუზიარებენ მოწვეული ექსპერტები. დაგეგმილია, ასევე, კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო პროგრამა.

mospat.ru/ge/